

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „ACC Distribution“-ის აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 24 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 20 აგვისტო

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული
ანგარიში**

შპს „ACC Distribution“-ის აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 24 მაისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,
შპს „იუაის“ სახელით
თბილისი, საქართველო

2019 წლის 20 აგვისტო

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კვახაძე

2 აგვისტო 2019 წ.

ფინანსური მენეჯერი


ვერა ტაბიძე

მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე.


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.


აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კვახაძე

2 აგვისტო 2019 წ.


ფინანსური მენეჯერი

ვერა ტაბიძე

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანია შპს „ACC DISTRIBUTION“ წარმოადგენს ლიტვური კომპანიის UAB „ACC Distribution“-ის შვილობილ კომპანიას. ჯგუფი ACC DISTRIBUTION შედგება 16 კომპანიისგან და წარმოდგენილია შემდეგ ქვეყნებში: ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, ბელარუსია, საქართველო.

კომპანიას აქვს 11 წლიანი გამოცდილება საქართველოს ბაზარზე და წარმოადგენს კომპიუტერული და საოჯახო ტექნიკის ერთ-ერთ მხვილ დისტრიბუტორს. იგი წარმოდგენილია საქართველოს ყველა რეგიონში. 2018 წელს შპს „ACC DISTRIBUTION“-ს საშუალოდ ჰყავდა 28 თანამშრომელი დასაქმებული. კომპანია არის ისეთი ბრენდების დისტრიბუტორი, როგორიცაა: DELL, ASUS, ACER, LENOVO, MIDEA, PHILIPS, LEXMARK, MICROLAB და აშ. ჰყავს 600 ზე მეტი აქტიური მომხმარებელი. 60%-ზე მეტი გაყიდვები ხორციელდება ონლაინ პორტალზე www.accdistribution.net.

2018 წლის კომპანიის გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 25 122 182 ლარი, რომელიც 2017 წელთან შედარებით 28.39%-ით ნაკლებია. 2018 წლის შემოსავლების შემცირების მთავარი ფაქტორები იყო:

1. საქართველოს ბაზარზე არსებული მდგომარეობა-კურსის არასტაბილურობა, ზოგადად IT ბაზრის შემცირება.
2. ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის წესის შესახებ.

2019 წელს კომპანია გეგმავს დატოვოს ე.წ თეთრი ტექნიკის ბაზარი. ზოგადად საქართველოს IT ბაზარზე შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანია არ გამორიცხავს დედა კომპანიის მიერ განხილულ იქნეს ასევე 2019 წელს საქართველოს ბაზრის დატოვება სრულად.

2019 წელს მენეჯმენტი გეგმავს საოპერაციო ციკლის შემცირებას, რაც მიღწეული უნდა იქნას თანამშრომლებზე გაცემული ახალი მიზნობრივი საბონუსე სისტემით. თითოეული ადმინისტრაციის თანამშრომლის მიღწევები შეფასებული იქნება წლის განმავლობაში და შესაბამისად წახალისებული.

3. 2018 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული კვლევებში.

4. კომპანიას არ აქვს ფილიალები. საწყობი მდებარეობს თბილისში, საიდანაც ხდება კლიენტების მომარაგება.

5. 2018 წელს მენეჯმენტმა დაგეგმა კომპანიის ფულის ბრუნვის საოპერაციო ციკლის შემცირება, რაც კომპანიას საშუალებას მისცემდა ნაკლები თანხის ინვესტირება განეხორციელებინა. ეს მენეჯმენტის გადაწყვეტილებით უნდა მიღწეულიყო დებიტორების და მარაგების ბრუნვის დღეების შემცირებით. კომპანიამ დებიტორების დღეების შემცირება მოახერხა კლიენტებისთვის სხვადასხვა საბონუსე სქემების შეთავაზებით, თანხის დროულად და დროზე ადრე გადახდის შემთხვევაში, ასევე კლიენტებს შესთავაზეს სპეც შეთავაზებები ნაღდი ანგარიშწორებით გადახდისას. კომპანიამ მოახერხა უფრო მოქნილი ლოჯისტიკის სქემების აწყობა, რამაც საშუალება მისცა უფრო დროულად და ხშირად განთავსებულიყო შეკვეთები, რამაც კომპანიას არსებითად შეამცირა მარაგების ბრუნვის დღეები. შედეგად 2018 წელს დებიტორების ბრუნვის

დღეები იყო 27 დღე, წინა წელთან შედარებით შემცირდა 18 დღით, მარაგების ბრუნვის დღეები კი 28-30 დღე, წინა წელთან შედარებით შემცირდა 30 დღით.

2018 წელს კომპანიას მიზნად ჰქონდა გაყიდვების შენარჩუნებინა 2017 წლის დონეზე.

იქედან გამომდინარე, რომ კომპანიას უწევს საქონლის უცხოურ ვალუტაში შეძენა, ხოლო საქონლის რეალიზაცია ადგილობრივ ვალუტაში, შესაბამისად ლარის კურსის გაუფასურების შედაგად კომპანიას უჩნდებოდა ზარალი კურსის გაუფასურებიდან. ზარალი იყო შემდეგი ფაქტორების გამო:

1. ხშირ შემთხვევაში კომპანიას უწევდა ვალდებულებების დასაფარად უფრო „ძვირად“ შეეძინა დოლარები;
2. სავალუტო ვალდებულებების გადაფასება IFRS სტანდარტების შესაბამისად,

ლარის არასტაბილურობის გამო დოლართან მიმართებაში, ფაქტიურად შეიქმა სიტუაცია, რომ კომპანიას უჭირდა მომავლის გეგმების განსაღვრა, ვინაიდან შექმნილი სიტუაცია კომპანიის კონტროლის ფარგლებს სცდებოდა.

2016 წელს, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, სავალუტო ვალდებულებები სრულიად დაეფარა. კომპანიამ აიღო ადგილობრივ ბანკში სესხი, და შედეგად სავალუტო ზარალის მაგივრად, კომპანიას 2018 წელს გაუჩნდა წინასწარ განსაზღვრული პროცენტის ხარჯი. სწორედ ამ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული 2018 წელს კომპანიის მოგება-ზარალში ნაჩვენები პროცენტის ხარჯი 827 471 ლარი.

6. 2018 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

7. 2018 წელს კომპანია იყენებდა ფორვარდულ კონტრაქტებს ადგილობრივ ბანკთან, სავალუტო რისკის შესამცირებლად.

2018 წელს საშუალო მარაგების დღეები შეადგენს 30 დღეს. გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით. დებიტორული დავალიანების დღეები 2018 წელს საშუალოდ შეადგენს 27-30 დღეს.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია:

	რისკის და გაურკვევლობის აღწერა:	მენეჯმენტის საპასუხო ქმედება
1	სავალუტო რისკი - მარაგების უმეტესობის შესყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო გაყიდვა ადგილობრივ ვალუტაში, არის პოტენციური რისკი ზარალისა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო.	2018 წელს კომპანიამ თითქმის სრულად დაფარა სავალუტო ვალდებულებები გადაფასებებიდან ზარალის თავიდან ასარიდებლად და ბანკთან პერიოდულად აფორმებს ფორვარდულ ხელშეუბნებებს.
2	პოლიტიკური რისკი – არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია ნეგატიურ გავლენა მოახდინოს ბაზარზე, კომპანიის მომგებიანობაზე	მენეჯმენტი აქტიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოახდინოს რეაგირება.

დღეები იყო 27 დღე, წინა წელთან შედარებით შემცირდა 18 დღით; მარაგების ბრუნვის დღეები კი 28-30 დღე, წინა წელთან შედარებით შემცირდა 30 დღით.

2018 წელს კომპანიას მიზნად ჰქონდა გაყიდვების შეენარჩუნებინა 2017 წლის დონეზე.

იქედან გამომდინარე, რომ კომპანიას უწევს საქონლის უცხოურ ვალუტაში შეძენა, ხოლო საქონლის რეალიზაცია ადგილობრივ ვალუტაში, შესაბამისად ლარის კურსის გაუფასურების შედაგად კომპანიას უზნებოდა ზარალი კურსის გაუფასურებიდან. ზარალი იყო შემდეგი ფაქტორების გამო:

1. ხშირ შემთხვევაში კომპანიას უწევდა ვალდებულებების დასაფარად უფრო „ძვირად“ შეეძინა დოლარები;
2. სავალუტო ვალდებულებების გადაფასება IFRS სტანდარტების შესაბამისად,

ლარის არასტაბილურობის გამო დოლართან მიმართებაში, ფაქტიურად შეიქმმა სიტუაცია, რომ კომპანიას უჭირდა მომავლის გეგმების განსაღვრა, ვინაიდან შექმნილი სიტუაცია კომპანიის კონტროლის ფარგლებს სცდებოდა.

2016 წელს, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, სავალუტო ვალდებულებები სრულიად დაეფარა. კომპანიამ აიღო ადგილობრივ ბანკში სესხი, და შედეგად სავალუტო ზარალის მაგივრად, კომპანიას 2018 წელს გაუჩნდა წინასწარ განსაზღვრული პროცენტის ხარჯი. სწორედ ამ გადაწყვეტილებასთან არის დაკავშირებული 2018 წელს კომპანიის მოგება-ზარალში ნაჩვენები პროცენტის ხარჯი 827 471 ლარი.

6. 2018 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

7. 2018 წელს კომპანია იყენებდა ფორვარდულ კონტრაქტებს ადგილობრივ ბანკთან, სავალუტო რისკის შესამცირებლად.

2018 წელს საშუალო მარაგების დღეები შეადგენს 30 დღეს. გაყიდვების უმეტესი ნაწილი ხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით. დებიტორული დავალიანების დღეები 2018 წელს საშუალოდ შეადგენს 27-30 დღეს.

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები დაკავშირებულია:

	რისკის და გაურკვევლობის აღწერა:	მენეჯმენტის საპასუხო ქმედება
1	სავალუტო რისკი - მარაგების უმეტესობის შესყიდვა ხდება უცხოურ ვალუტაში, ხოლო გაყიდვა ადგილობრივ ვალუტაში, არის პოტენციური რისკი ზარალისა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო.	2018 წელს კომპანიამ თითქმის სრულად დაფარა სავალუტო ვალდებულებები გადაფასებებიდან ზარალის თავიდან ასარიდებლად და ბანკთან პერიოდულად აფორმებს ფორვარდულ ხელშედეგებს.
2	პოლიტიკური რისკი- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია ნეგატიურ გავლენა მოახდინოს ბაზარზე, კომპანიის მომგებიანობაზე	მენეჯმენტი აქტიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკური გარემოს განვითარებას რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოახდინოს რეაგირება.

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8-32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ACC Distribution“-ის პარტნიორებსა და ხელმძღვანელებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ACC Distribution“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ მე-12 შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ამ საკითხს გავლენა არ მოუხდენია ჩვენს მოსაზრებაზე.

კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2018 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენს ანგარიშში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნი, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნი, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 24 მაისი



**Building a better
working world**

პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 24 მაისი

შპს „ACC Distribution“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4	25,122,182	35,082,922
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(24,871,913)	(33,118,598)
საერთო მოგება		250,269	1,964,324
ცვლილებები საგარანტიო რეზერვში	13	(318,467)	38,798
საოპერაციო ხარჯები	5	(1,851,047)	(1,438,317)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (ზარალი)/ მოგება		(1,919,245)	564,805
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5,254	34,469
საკუთრო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(304,036)	(67,209)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	8	7,600	5,197
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(827,471)	(886,867)
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(3,037,898)	(349,605)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(3,037,898)	(349,605)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(3,037,898)	(349,605)

ხელმოწერილია და გამოსაცემად დამტკიცებულია შპს „ACC Distribution“ სახელით
2019 წლის 24 მაისს:

აღმასრულებელი დირექტორი
გიორგი კვახაძე

ფინანსური მენეჯერი
ვერა ტაბიძე

შპს „ACC Distribution“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	4	25,122,182	35,082,922
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(24,871,913)	(33,118,598)
საერთო მოგება		250,269	1,964,324
ცვლილებები საგარანტიო რეზერვში	13	(318,467)	38,798
საოპერაციო ხარჯები	5	(1,851,047)	(1,438,317)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (ზარალი)/ მოგება		(1,919,245)	564,805
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		5,254	34,469
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(304,036)	(67,209)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	8	7,600	5,197
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(827,471)	(886,867)
ზარალი გადასახადით დაბეგრამდე		(3,037,898)	(349,605)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(3,037,898)	(349,605)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი		(3,037,898)	(349,605)

ხელმოწერილია და გამოსაცემად დამტკიცებულია შპს „ACC Distribution“ სახელით
2019 წლის 24 მაისს:

აღმასრულებელი დირექტორი
გიორგი კვანახე

ფინანსური მენეჯერი
ვერა ტაბიძე

შპს „ACC Distribution“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		306,445	191,363
სულ გრძელვადიანი აქტივები		306,445	191,363
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	1,930,017	5,437,785
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7	1,872,443	3,890,916
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		89,646	260,946
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	269,066	1,627,847
სულ მიმდინარე აქტივები		4,161,172	11,217,494
სულ აქტივები		4,467,617	11,408,857
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,000	5,000
აკუმულირებული ზარალი		(3,420,117)	(382,219)
სულ კაპიტალი	9	(3,415,117)	(377,219)
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	1,881,246	121,772
პროცენტიანი სესხები	11	5,259,081	10,673,850
მიღებული ავანსები		91,759	–
საგადასახადო დავალიანება		399,086	744,477
სახელფასო ვალდებულებები		23,023	39,485
საგარანტიო რეზერვი	13	228,539	206,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,882,734	11,786,076
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,467,617	11,408,857

შპს „ACC Distribution“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2017 წლის 1 იანვარს	5,000	(32,614)	(27,614)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(349,605)	(349,605)
2017 წლის 31 დეკემბერს	5,000	(382,219)	(377,219)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(3,037,898)	(3,037,898)
2018 წლის 31 დეკემბერს	5,000	(3,420,117)	(3,415,117)

შპს „ACC Distribution“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
ზარალი გადასახადით დაბეგრამდე		(3,037,898)	(349,605)
<i>კორექტირებები:</i>			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5	100,674	74,558
ნამეტი შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		-	(3,317)
სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება	7	6,854	10,815
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	827,471	886,867
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი		(7,600)	(5,197)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		304,036	67,209
საგარანტიო რეზერვების შექმნა / (შემოტრუნება)	15	318,467	(38,798)
წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები		(85,585)	14,980
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		3,593,353	(27,598)
ცვლილება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში		2,011,619	1,618,253
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		171,300	253,105
ცვლილება სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში		1,759,474	(676,521)
სახელფასო ვალდებულებების ცვლილება		(16,462)	(59,237)
ცვლილებები საგადასახადო დავალიანებაში		(345,391)	(560,913)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		91,759	-
ცვლილებები საგარანტიო რეზერვში		(296,420)	(241,072)
წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტის და გადასახადის გადახდამდე		5,395,651	963,529
მიღებული პროცენტი		7,600	5,197
გადახდილი პროცენტი		(827,471)	(873,554)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		4,575,780	95,172
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(221,322)	(106,799)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		5,568	33,600
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(215,754)	(73,199)
ფინანსური საქმიანობა			
ამონაგები სესხებიდან		30,140,718	30,516,670
ნასესხები სახსრების დაფარვა		(35,660,873)	(29,114,074)
(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,520,155)	1,402,596
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება)/ზრდა		(1,160,129)	1,424,569
საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(198,652)	(67,209)
ნაღდი ფული პერიოდის დასაწყისში	8	1,627,847	270,487
ნაღდი ფული პერიოდის ბოლოს	8	269,066	1,627,847

8-32 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ლარი)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ACC Distribution“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციების 100%-ის მფლობელი იყო „UAB ACC Distribution“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „ACME Grupe UAB“ (შემდგომში „საბოლოო მაკონტროლებელი მხარე“), ლიტვაში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის ოფიციალური მისამართია ჭყონდიდელის ქ. № 4, თბილისი 0180, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერების და მათი კომპონენტების, საკომუნიკაციო სისტემების, სახლის ტექნიკის და სახლის ელექტრო დანადგარების საბითუმო ვაჭრობა საქართველოს ტერიტორიაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ. პარტნიორებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

2.1 მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ყველა პერიოდთან მიმართებაში, გარდა რიგი ახალი და შეცვლილი ფასს და ფასიკ ინტერპრეტაციებისა, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. ახლად გამოშვებულ სტანდარტებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია საქმიანობს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღში როდესაც სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადების და მოსაკრებლების გამოკლებით.

კომპანია საქმიანობს სხვადასხვა მოწყობილობის და ელექტრო დანადგარის საბითუმო ვაჭრობის ბიზნესში. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა კლიენტის ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის სანაცვლოდ. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე კონტროლი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

კომპანია განიხილავს არსებობს თუ არა ხელშეკრულებაში სხვა დაპირებებიც, რომლებიც განცალკევებულია შესასრულებელი მოვალეობისგან, რომელზეც უნდა გადანაწილდეს ოპერაციის ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები). საქონლის გაყიდვის ოპერაციის ფასის განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს ცვლადი საზღაურების ეფექტებს. საქონლის გაყიდვის ხელშეკრულებები კლიენტებს არ აძლევს დაბრუნების უფლებას, მოცულობის გამო ფასდაკლებას, რომლებიც წარმოშობს ცვლად გადახდას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

მოცულობის გამო ფასდაკლება

კომპანია კონკრეტულ კლიენტებს სთავაზობს მოცულობის გამო რეტროსპექტულ ფასდაკლებას მას შემდეგ, რაც პერიოდის განმავლობაში შეძენილი პროდუქტების რაოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ნორმას. ფასდაკლებები გაიქვითება მომხმარებლის ვალდებულებების თანხით. მოსალოდნელი მომავალი ფასდაკლებების ცვლადი საზღაურის შესაფასებლად, კომპანია უმეტესად იყენებს რაოდენობრივ მეთოდს ცვლადი საზღაურის პროგნოზირებისთვის. კომპანიის მიერ შეთავაზებული მოცულობის გამო ფასდაკლებები დაანგარიშდება ერთი ფინანსური წლის ფარგლებში, შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღში (31 დეკემბერს) ყველა ფასდაკლება დაანგარიშდება ფაქტიურ მოცულობებზე დაყრდნობით, ხოლო თანხის დაბრუნების ვალდებულება უქმდება.

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი

ზოგადად, კომპანია თავისი კლიენტებისგან მოკლევადიან ავანსებს იღებს. ფასს (IFRS) 15-ში განსაზღვრული პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებით, კომპანია არ ცვლის გადახდის დაპირებულ თანხას მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის ეფექტებზე, როდესაც ის მოელის (ხელშეკრულების დასაწყისში), რომ დაპირებული საქონლის კლიენტისთვის გადაცემიდან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის ან მომსახურების ანაზღაურებამდე პერიოდი ერთი წელი ან ნაკლები იქნება.

საგარანტიო ვალდებულება

ჩვეულებრივ, კომპანია ზოგად გარანტიებს გასცემს, რომლებიც ითვალისწინებს გაყიდვის დროს არსებული წუნის აღმოფხვრას კანონით მოთხოვნილი ფორმით. რწმუნების ტიპის გარანტიები აღირიცხება – ბასს (IAS) 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ შესაბამისად.

ზოგად შეკეთებაზე ნორმალურ გარანტიას კომპანია გასცემს სამი წლის ვადით, მის ყველა გაცემულ პროდუქტზე, მრეწველობის პრაქტიკის გათვალისწინებით. გარანტიის პოტენციური მოთხოვნის ვალდებულება აღიარდება პროდუქტის გაყიდვის მომენტში. კომპანია არ იძლევა ხანგრძლივ გარანტიას ან ტექნიკური მომსახურების ხელშეკრულებას მის კლიენტებზე. ამგვარი მომსახურების ტიპის გარანტიები საქონლის გაყიდვის და ისეთ ხელშეკრულებებს დაერთვის, რომლებიც შესრულების ორ ვალდებულებას მოიცავს, რადგან საქონლის გადაცემის დაპირება და მომსახურების ტიპის გარანტია საკმაოდ მრავალფეროვანია. შემოსავალი აღირიცხება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია საგარანტიო მომსახურება განვლილი დროის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ასრულებს გაფორმებულ ხელშეკრულებას.

(გ) გადასახადები

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად, ასევე როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) გადასახადები (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას. ასეთ შემთხვევაში, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება ხდება აქტივის შესყიდვის ღირებულების ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც ადგილი აქვს დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წინასწარ გადახდილი გადასახადების ან სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(დ) აქტივების და ვალდებულებების მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, რომლის დროსაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება იანგარიშება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარდება საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2018 წლისა და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, ასევე სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- ▶ ამოიწურება აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა; ან
- ▶ კომპანია დათმობს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან დაიტოვებს ამგვარ უფლებას, მაგრამ აიღებს მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულებას „შეთანხმების“ საფუძველზე; ან (ა) კომპანია გადასცემს აქტივთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს; (ბ) კომპანია არც გადასცემს და არც დაიტოვებს აქტივთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, მაგრამ გადასცემს აქტივზე კონტროლს.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. როდესაც კომპანიას არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და არც აქტივზე კონტროლი აქვს გადაცემული, ის აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას იმდენად, რამდენადაც კომპანია მასში იქნება ჩართული. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

(ი) ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი უნდა აღრიცხოს ყველა სავალო ფინანსურ აქტივზე ამორტიზებული ღირებულებით. კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი საპროგნოზო ფაქტორების შესაბამისად.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განსაზღვრულია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება მიეკუთვნება სესხებს და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას, ასევე პროცენტთან სესხებს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება, ხოლო წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის, ან ერთდროულად – აქტივების რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა.

(iv) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება ხდება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებების შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივების და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ხარჯს, ხარჯის გაწევის დროს, თუ დაკმაყოფილებულია აღიარების კრიტერიუმები. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორც არის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

სატრანსპორტო საშუალებები
სხვა ძირითადი საშუალებები

5-10 წელი
2-6 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.2 მნიშვნელოვანი სადარიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის ვადის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე ან შეთანხმება იძლევა აქტივების გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს უფლება არ არის მკაფიოდ აღნიშნული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

(თ) გარიგებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან

ყველა გარიგება საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებთან ფასდება თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ გარიგებები არ შეიცავს საზღაურს, მაშინ მათი ღირებულება ნულით ფასდება.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში“ („FIFO“) მეთოდით. არარეალიზებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები სრულად ჩამოიწერება ან ასიგნირდება.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკებში, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. ნებისმიერ ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯი წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ანაზღაურების თანხის გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და ის მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება).

მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის ანგარიშგება ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარეები განაგრძობენ ყველა იჯარის კლასიფიცირებას კლასიფიკაციის იგივე პრინციპის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია ბასს (IAS) 17-ში და განასხვავებენ იჯარის ორ ტიპს: საოპერაციო და ფინანსურ იჯარებს.

ფასს (IFRS) 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. სტანდარტის ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია, მაგრამ არა ფასს (IFRS) 15-ის („ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) გამოყენებამდე. კომპანიამ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

კომპანია ამჟამად აფასებს ფასს (IFRS) 16-ის გავლენას, თუმცა არ მოელის მის კაპიტალზე რაიმე გავლენას სტანდარტზე გადასვლის თარიღში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავრცელდა 2018 წლის 1 იანვარს

ფასს (IFRS) 15 „*ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან*“ გამოიყენა 2014 წლის მაისში და ის ხუთეტაპიან მოდელს განსაზღვრავს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ ფასს (IFRS) 15 გამოიყენა სრულად რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე 2018 წლის 1 იანვრიდან.

ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად, კომპანიამ უნდა განსაზღვროს არსებობს თუ არა ხელშეკრულებებში დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი. პრაქტიკული მიზანშეწონილების გამოყენებით, საწარმოს არ სჭირდება გადახდის დაპირებული თანხის ცვლილება დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტების ეფექტისთვის, თუ საწარმო ხელშეკრულების დასაწყისში მოელის, რომ პერიოდი დაპირებული საქონლის და მომსახურების კლიენტისთვის გადაცემიდან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდამდე უმეტეს შემთხვევაში იქნება ერთი წელი ან მასზე ნაკლები.

ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად, შემოსავალი აღიარდება იმ გადახდის ოდენობით, რაზეც კომპანიას ექნება უფლება კლიენტისთვის საქონლის და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ფასს (IFRS) 9 „*ფინანსური ინსტრუმენტები*“. 2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის „*ფინანსური ინსტრუმენტები*“ საბოლოო ვერსია, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს „*ფინანსური ინსტრუმენტები: ფასს აღიარება და შეფასება*“, ასევე ფასს (IFRS) 9-ის ყველა ადრინდელ ვერსიას. ფასს (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს (IFRS) 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს (IFRS) 9-ის მიღებას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე. მთავარ ფინანსურ აქტივებს, სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს კომპანია ფლობს იმისათვის, რომ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი სახსრები და მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. ამრიგად, კომპანია მოელის, რომ ეს აქტივები ფასს (IFRS) 9-ის მიხედვითაც ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება. კომპანიამ გააანალიზა ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ეს ინსტრუმენტები აკმაყოფილებს ფასს 9-ით გათვალისწინებულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. შესაბამისად, საჭირო არ არის ამ ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2.3 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავრცელდა 2018 წლის 1 იანვარს (გაგრძელება)

ფასიკ (IFRIC) 22-ის ინტერპრეტაცია „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან კომპანიის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ამ უკანასკნელის გამოყენებას გავლენა არ ჰქონია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობით ვალდებულებებზე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. თუმცა, ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგები, რომლებიც არსებით ცვლილებას მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში, რაც მომავალ პერიოდებში იქნება გამოწვეული.

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიაზე უარყოფითად იმოქმედა მისი საქონლის ღირებულების კლებამ 2018 წელს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 41,742 ლარით აღემატებოდა, ხოლო კომპანიის წმინდა ზარალი ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის 42,339 ლარს შეადგენდა. მიმდინარე პროცენტიანი სესხები მოიცავს 5,259,081-ს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(i) ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

კომპანიის დირექტორებმა მშობელ კომპანიასთან შეთანხმეს კომპანიისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფა და მიმდინარე საფუძველზე დამატებითი საბრუნავი კაპიტალის უზრუნველყოფა. მშობელმა კომპანიამ გამოთქვა მზაობა დაეხმაროს კომპანიას იმ შემთხვევაში, თუ მას სირთულეები შეექმნება საქართველოში დაფინანსების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების ეს საფუძველი გულისხმობს, რომ მშობელ კომპანიას შესწევს უნარი და აქვს განზრახვა გასწიოს ფინანსური დახმარება, რომელიც კომპანიას მისცემს საშუალებას განახორციელოს მისი აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

(ii) საგარანტიო რეზერვი

თუ მომწოდებელი არ ახდენს საგარანტიო მომსახურების შეთავაზებას თავის პროდუქტებზე საქართველოში, კომპანია ქმნის საგარანტიო მომსახურების ხარჯების ანარიცხებს. კომპანია აღიარებს ისეთი პროდუქტების შეკეთების ან გამოცვლის მოსალოდნელ ვალდებულებას, რომელზეც გარანტია ვრცელდება, შემოსავლის აღიარების მომენტში. ანარიცხი გამოითვლება მოცულობების დონის, პროდუქციის ასორტიმენტის და შეკეთებისა და გამოცვლის თვითღირებულების შეფასებას წარსული გამოცდილების საფუძველზე და ის საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გაყიდულ საქონელზე კომპანიის ვალდებულების შესასრულებლად საჭირო თანხების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას წარმოადგენს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა საგარანტიო ანარიცხი 228,539 ლარის (2017 წ.: 206,492 ლარი) ოდენობით (მე-13 შენიშვნა).

(iii) სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურება და დაკორექტირება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მისაღებად

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების ობიექტური ნიშნები. თუ აღმოჩნდა გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება ან თუ მოსალოდნელია მომავალ პერიოდში გარკვეული საქონლის გაყიდვა საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად, ასეთი აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ შექმნა 48,075 ლარის (2017 წ.: 133,657 ლარი) წმინდა სარეალიზაციო ღირებულების რეზერვი. ხელმძღვანელობის აზრით ეს რეზერვი საკმარისია და სასაქონლო-მატერიალური მარაგის გაცხადებული ოდენობა სრულად არის აღდგენილი (მე-6 შენიშვნა).

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(iv) უიმედო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

ხელმძღვანელობის შეფასებით 35 ლარის (2016 წ.: 625 ლარი) ოდენობის უიმედო თანხების რეზერვი ყველაზე მეტი სიზუსტით ასახავს სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-12 შენიშვნა).

4. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2018	2017
კომპიუტერები, ლეპტოპები და აქსესუარები	16,520,579	24,844,057
სახლის მოწყობილობები და საკომუნიკაციო ტექნიკა	8,432,970	9,538,374
სხვა	168,633	700,491
სულ	25,122,182	35,082,922

5. საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
თანამშრომელთა სარგებელი	1,030,051	851,531
საიჯარო ხარჯი	250,323	193,573
სხვა ხარჯები	237,608	159,151
საქონლის ტრანსპორტირების და დამუშავების ხარჯი	116,807	63,099
ძირითადი საშუალებების ცვეთა	100,674	74,558
წარმომადგენლობითი ხარჯები	50,182	36,978
საოფისე მარაგები	46,691	33,637
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	14,512	25,181
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	4,199	609
	1,851,047	1,438,317

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31 დეკემბრის მდგომარეობით, სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში შედიოდა:

	2018	2017
გადასაყიდი საქონელი	1,978,092	5,571,442
რეზერვი	(48,075)	(133,657)
	1,930,017	5,437,785

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები (გაგრძელება)

რეზერვში ცვლილებების შეჯერება არის შემდეგი:

	სულ
2017 წლის 1 იანვარს	(185,241)
წლის განმავლობაში გამოყენებული	51,584
2017 წლის 31 დეკემბერს	(133,657)
წლის განმავლობაში გამოყენებული	85,582
2018 წლის 31 დეკემბერს	(48,075)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში შედიოდა:

	2018	2017
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები, წმინდა	1,872,443	3,890,916
	1,872,443	3,890,916

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება და მათი დაფარვის ვადა, როგორც წესი, 30-35 დღეა, უმნიშვნელო გამონაკლისებით.

31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ანალიზი ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

	სულ	მიმდინარე	ვადაგადაცილებული დღეები				
			30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 60 დღემდე	61 დღიდან 90 დღემდე	91 დღიდან 120 დღემდე	120 დღეზე მეტი
2018	1,872,443	1,711,004	161,304	–	135	–	–
2017	3,890,916	3,444,648	383,808	33,231	745	20,323	8,161

სავაჭრო დებიტორულ დავალიანების საკრედიტო რისკთან დაკავშირებით, იხილეთ მე-14 შენიშვნა, რომელიც განმარტავს კომპანიის მიერ სავაჭრო დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის მართვის და შეფასების წესებს.

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში შემდეგია:

	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–
წლის დანარიცხი	10,815
ჩამოწერები	(10,815)
2017 წლის 31 დეკემბერს	–
წლის დანარიცხი	6,854
ჩამოწერები	(6,854)
2018 წლის 31 დეკემბერს	–

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2018	2017
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	266,212	1,624,157
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	2,854	3,690
	269,066	1,627,847

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში წარმოადგენს პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს ადგილობრივ ბანკებში. 2018 წლის განმავლობაში მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 7,600 ლარი (2017 წ.: 5,197 ლარი). ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე პირველ ეტაპს განეკუთვნება.

9. კაპიტალი

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 5,000 ლარით და მას სრულად (100%) ფლობდა კომპანია „ACC Distribution UAB“.

კომპანიას 2018 და 2017 წლებში დივიდენდები არ გამოუცხადებია.

10. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები

	2018	2017
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,881,246	121,772
	1,881,246	121,772

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება უპირატესად მოიცავს საკომუნიკაციო სისტემებისა და სახლის ელექტრო მოწყობილობების მიმწოდებლებისთვის გადასახდელ თანხებს. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ჩვეულებრივ 15-30 დღის ვადაში იფარება.

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. პროცენტული სესხები

	2018	2017
პროცენტული სესხები	5,259,081	10,673,850
	5,259,081	10,673,850

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები მოიცავს ევროში გამოხატულ სესხს მშობელი კომპანიისგან (2017 წლის 31 დეკემბერი: საქართველოს ბანკისგან მიღებული ლარში გამოხატული ერთი მოკლევადიანი სესხი).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2018 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	2018 წლის 31 დეკემბერი
პროცენტული სესხები	10,673,850	(6,347,626)	827,471	105,386	5,259,081
	2017 წლის 1 იანვარი	ფულადი ნაკადები	ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	2017 წლის 31 დეკემბერი
პროცენტული სესხები	9,257,941	529,042	886,867	–	10,673,850

12. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც შესაბამის ფინანსურ წელს დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

	გაყიდვები დაკავშირებულ მხარეებზე	შესყიდვები დაკავშირე- ბული მხარეებისგან მიღებული	დაკავშირე- ბული მხარეებისგან მისაღები თანხები	ვალდებუ- ლებები დაკავშირებულ მხარეების მიმართ	დაკავშირე- ბული მხარეებისგან მიღებული სესხები
მშობელი კომპანია					
2018	138,338	19,735,235	–	1,770,404	5,259,081
2017	252,348	29,324,684	111,300	–	–
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები					
2018	–	–	–	–	–
2017	–	167,724	–	–	–

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლმა 2018 წლის განმავლობაში ანაზღაურების სახით მიიღო 147,690 ლარი (2017 წ.: 148,484 ლარი), რაც საოპერაციო ხარჯებში აისახა.

13. პირობითი ვალდებულებები

13.1 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები – კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას საიჯარო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საოფისე ფართსა და სასაწყობო შენობაზე. იჯარის პირობები არ ზღუდავს კომპანიის საქმიანობას, რომელიც უკავშირდება დივიდენდებს, დამატებით სესხებსა და სხვა საიჯარო ხელშეკრულებების გაფორმებას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მომავალში გადასახდელი მინიმალური იჯარა შეადგენს 291,280 ლარს (2017 წ.: 48,267 ლარი).

13.2 გაცემული გარანტიები

კომპანია თავის პროდუქტებზე კლიენტებს 6 თვიდან 3 წლამდე საგარანტიო პერიოდს სთავაზობს გენერალური რემონტისთვის, პროდუქტის ტიპის მიხედვით. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დაბრუნებული პროდუქტების უფასოდ შეკეთება ან გამოცვლა ხდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**13.2 გაცემული გარანტიები (გაგრძელება)**

ანარიცხი აღიარდება ბოლო სამი წლის განმავლობაში გაყიდულ პროდუქტებზე მოსალოდნელი საგარანტიო მოთხოვნებისთვის, ნაწილების შეკეთებისა და გამოცვლის განვლილი გამოცდილების საფუძველზე. საგარანტიო რეზერვების დაანგარიშებაში გამოყენებული დაშვებები ეფუძნება გაყიდვების მიმდინარე დონეს და მიმდინარე ხელმისაწვდომ ინფორმაციას დაბრუნებების შესახებ, ყველა გაყიდული პროდუქტის საგარანტიო პერიოდის საფუძველზე.

მომრაობები საგარანტიო ანარიცხებში იხილეთ ქვემოთ:

	2018	2017
1 იანვარს	206,492	486,362
ჩამოწერა	(296,420)	(241,072)
ანარიცხები/შემობრუნება წლის განმავლობაში	318,467	(38,798)
31 დეკემბრის	228,539	206,492

13.3 საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. ამ გარემოებებმა შეიძლება დამატებითი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია შესაბამისია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და სამომხმარებლო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

14. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება პროცენტის სესხებისგან და ასევე სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული დებიტორული ანგარიშები და ნაღდი ფული მიმდინარე ანგარიშებზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო. ამასთანავე, კომპანიას არ აქვს ცვალებადი განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტები და, შესაბამისად, არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კომპანია არის საბოლოო მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული დიდი ჯგუფის ნაწილი. ფინანსური რისკების უმეტესი ნაწილი იმართება და კონტროლდება საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებდა. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება) და ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე, ბანკებში განთავსებული ანგარიშების ჩათვლით.

კომპანიას აქვს მოქმედი პროცედურები, პარამეტრების საფუძველზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ განვადებით ყიდვის უფლება მიეცეთ შესაბამისი საკრედიტო ისტორიის მქონე კლიენტებს და არ მოხდეს კრედიტის მისაღები ლიმიტის გადაჭარბება. საკრედიტო ლიმიტის ნებისმიერი ცვლილება დგინდება მშობელი კომპანიის საკრედიტო კომიტეტის მიერ, კლიენტის საკრედიტო ისტორიის საფუძველზე.

კომპანიის კლიენტების 90%-ზე მეტი რამდენიმე წელია, რაც კომპანიასთან თანამშრომლობს და ზარალის შემთხვევა იშვიათად დამდგარა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ზარალის მნიშვნელოვანი ისეთი რისკის ოდენობა, რომელიც ჩამოიწერა წლის განმავლობაში (მე-7 შენიშვნა).

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა საანგარიშგებო თარიღისთვის შეადგენს 2,138,655 ლარს (2017 წ.: 5,515,073 ლარი), რაც მოიცავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებას 1,872,443 ლარის (2017 წ.: 3,890,916 ლარი) ოდენობით და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 266,212 ლარის (2017 წ.: 1,624,157 ლარი) ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანიის პოლიტიკაა შეინარჩუნოს საკმარისი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ან საკმარისი დაფინანსება ჰქონდეს მშობელი კომპანიისგან კრედიტის სახით, რომ ვალდებულებები შეთანხმებული თარიღებით დაფაროს, თავისი სტრატეგიული გეგმების შესაბამისად.

ბანკისგან მიღებული ნასესხები სახსრები მოკლევადიანია და მათ ვადა 2018 წლამდე აქვთ. კომპანია არ აფინანსებს მესამე პირებს, თუმცა სჯერა, რომ მისი ფინანსური პოზიცია იძლევა ადგილობრივი ბანკებისგან დაფინანსებაზე წვდომის გარანტიას. ამგვარი დაფინანსების მიუწვდომლობის შემთხვევაში, კომპანიის მშობელი კომპანია იკისრებს ვალდებულებას გამოუყოს შესაბამისი კრედიტი ან დაფინანსების სხვა სახეობა, კომპანიის მიერ უწყვეტი ფუნქციონირების გასაგრძელებლად.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,658,167 ლარია (2017 წ.: 11,416,176 ლარი) და მათი დაფარვის ვადა 1-დან 12 თვემდეა. არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების მიხედვით ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

(iii) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსების მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

შპს „ACC Distribution“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(iii) სავალუტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიას უმეტესად შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აქვს უცხოურ ვალუტაში:

	2018 წელი (აშშ დოლარი)	2018 წელი (ევრო)	2017 წელი (აშშ დოლარი)	2017 წელი (ევრო)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	171,192		1,032,046	–
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	11,319		20,542	–
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(1,758,464)		–	–
სესხები	–	(5,259,081)	–	–
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,575,953)	(5,259,081)	1,052,588	–

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა):

	სავალუტო კურსის ცვლილება	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე
31 დეკემბერი, 2018 წ.		
აშშ დოლარი	11.00%	(173,355)
აშშ დოლარი	(11.00%)	173,355
ევრო	11.00%	(578,499)
ევრო	(11.00%)	578,499
2017 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი	13.5.00%	142,099
აშშ დოლარი	(9.5.00%)	(99,996)

(iv) კაპიტალის მართვა

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გარე შეზღუდვები და მოთხოვნები, ამიტომ კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა.

(v) სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ფასდება ან გაცხადდება, მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონის კატეგორიას, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისა, რომლებიც 1-ლ დონეს განეკუთვნება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 24 მაისს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.